

# მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12  
2016 წლის 19 აპრილი

ქ. მცხეთა

**„მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.გ.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

## **მუხლი 1**

შეტანილ იქნეს ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 04/02/2015; 010260020.35.153.01.6252), კერძოდ:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს სოციალური დახმარების (კვლევების) სახით, კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 1000 ლარისა.“.

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) რომელიც არ ფინანსდება არცერთი სახელმწიფო პროგრამით, ან კერძო სექტორის (კერძო სადაზღვევო კომპანია) მიერ (დაფინანსების მომენტისთვის არსებულ არცერთ ლიცენზირებულ კლინიკაში).“.

## **მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მცხეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ჯემალ სოლოღაშვილი

